



საქნახშირი

პრესრელიზი

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“-მა გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე „მწვანე აქციით“ აღნიშნა

გარემოს დაცვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად გარემოს დაცვის სამინისტროს და გაეროს დაგეგმილ მასშტაბურ ღონისძიებებში დღეს აქტიურად ჩაერთო ტყიბულში მოქმედი საქნახშირის საწარმოც.

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ეკო პროექტებსა და ბუნების დაცვის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებში. 5 ივნისს- გარემოს დაცვის მსოფლიოს დღის აღსანიშნავად ტყიბულელმა მემახტეებმა „მწვანე აქცია“ მოაწყვეს.

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“-ის თანამშრომლებმა საწარმოს ეზოში არსებული მწვანე საფარი განაახლეს, ტერიტორია დაასუფთავეს და საზაფხულო მოვლა პატრონობითი სამუშაოები ჩაატარეს. ამ ტერიტორიაზე „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ ინიციატივით ერთი თვის წინ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ძირი წიწვოვანი ნარგავი დაირგო. დღევანდელ მოვლა აღდგენით ღონისძიებებში მონაწილეობა მემახტეთა ფროფესიული კავშირის წევრებმაც მიიღეს.

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ უერთდება გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივას და ლიდერობას, რომლის თანახმადაც ივნისი „წლის მწვანე თვედ“ გამოცხადდა. აქციის ფარგლებში საქნახშირი მთელი თვის განმავლობაში, ყოველკვირეულ სხვადასხვა აქტივობებს გეგმავს.





საქნახშირი

პრესრელიზი

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ ასევე ტრადიციულად აგრძელებს, იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც კომპანიის მიერ დამტკიცებული გარემოს დაცვითი წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებშია გათვალისწინებული.

1972 წლის 15 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 5 ივნისი გარემოს დაცვის დღედ გამოაცხადა. გარემოს დაცვის მსოფლიო დღის აღნიშვნა მიზნად ისახავდა გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩაბმას.

10.06.2014

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მალაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი"
თაბუკაშვილის ქ. 13, 4300, ტყიბული
ტელ.: +995 95 74 74 73
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით: 
Georgian Industrial Group Holding

